ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 24 – 25 დეკემბერი, 2016

№305 (7230)

ფასი: 50 თეთრი

რევაზ არველაძე: „დენის ტარიფი არ გაიზრდება“

გვ.6

22 დეკემბრიდან

ძმები გრიმების წითელქუდა

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

დავით დარჩიაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა მთავრდება“

გვ.2

გიგა ბოკერიას ფრთა გიგი წერეთლის მამის პარტიაში გადადის

სააკაშვილი პარტიაში გადატრიალებას სკაიპით აპირებს

გვ.2

დატოვებს თუ არა თანამდებობას თედო კობახიძე

თბილისის საკრებულოში სკანდალი მწიფდება

მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობა იქცევა ისე, როგორც რუსეთს აწყობს“

„ნატოსთან და ევროკავშირთან დისტანციის შემცირება დღემდე ვერ მოვახერხეთ“

გვ. 4

ISSN 1987-9385

ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტის არჩევის წესი 2023 წელს შეიცვლება“

გვ.3

„მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილებას ცვლილებები არ შეეხება"

„ელჩის მკვლელობით რუსეთსა და თურქეთს შორის ხინჯი მაინც დარჩება“

გვ. 4

დავით დარჩიაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა მთავრდება“

გიგა ბოკერიას ფრთა გიგი წერეთლის მამის პარტიაში გადადის

შორენა მარსაგიშვილი

ოხი შობის, ოხი ახალი წლის და ოხი პარლამენტის შენობის შემდეგ, ქართველობას შეუძლია ოხი ნაციონალური მოძრაობით გაიხარხოს. პარტიაში დაწყებული დაპირისპირება შესაძლოა მისი ოხად გაყოფით დასრულდეს.

რამდენიმე კვირის წინ „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ მიხეილ სააკაშვილის მომხრე ნაციონალები გიგა ბოკერიას და მისი თანამოაზრეების პარტიიდან გარიცხვას აპირებდნენ.

ეს ინფორმაცია მაშინ პარტიაში ოფიციალურად არ დაგვიდასტურეს, 23 დეკემბერს კი ცნობილი გახდა, რომ სააკაშვილის მოძულეებს ბარგი ჩალაგებული აქვთ. დეპუტატი გიგი წერეთელი ამბობს, რომ პარტიის გაყოფის შემთხვევაში, ნაციონალების ნაწილი „ევროპულ საქართველოში“ გადაინაცვლებს.

აღსანიშნავია, რომ „ევროპული საქართველო“ გიგი წერეთლის მამის, ნუგზარ წერეთლის დაფუძნებულია, ეს პარტია რამდენიმე წლის წინ შეიქმნა და მას ლექტორთა კავშირი ერქვა.

ორგანიზაციამ სახელი მიმდინარე წელს შეიცვალა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ევროპულმა საქართველომ“ კვალიფიციური პარტიის სტატუსი მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ასე რომ, მიშისტების მიერ განდევნილი ნაციონალები მთლად უკაპიკოდ არ დარჩებიან.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წინ ბევრი ხმაურიანი განცხადება გველოდება. ნაციონალები უკვე ღიად ლანძღავენ ერთმანეთს.

დაპირისპირების ახალი ტალღა პარტიაში 23 დეკემბერს აგორდა. ამას წინ პარტიის ლიდერების შეხვედრა უძღოდა, სადაც გადაწყდა, რომ ყრილობის თარიღი არ შეიცვლება.

ყრილობის თარიღის შეცვლას გიგი ბოკერიას ფრთა ითხოვდა. ეს საკითხი ჩავარდა. აღსანიშნავია, რომ ეს მიშისტების მეორე გამარჯვებაა. პირველი გამარჯვება მაშინ მოიპოვეს, როცა 7.000-იანი ყრილობა დანიშნეს.

22 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების გამო, ბოკერიას ფრთამ მიხეილ სააკაშვილი უკვე ღიად გააკრიტიკა.

კრიტიკის ცეცხლი პირველმა გივი თარგამაძემ დაანთო.

გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილმა პარტიის პოლიტსაბჭო დაშალა. მან ყოფილ პრეზიდენტს შეუცვლელი ლიდერობის პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსი უწოდა.

– მის წარმოდგენაში ეგზისტენციალური დიდგორი 20 იანვარს, სპორტის სასახლეში, საკუთარ, თუნდაც ყოფილ თანამებრძოლებთან შერკინებაში ეგულება, – განაცხადა თარგამაძემ.

ახალბედა დეპუტატი და ნაციონალების ახალი სახე ოთარ კახიძე პარტიაში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას სააკაშვილს აკისრებს. მისი თქმით,

ნაციონალურ მოძრაობაში პარტიული დაპირისპირება მიშამ წამოიწყო.

კახიძის თქმით, დაპირისპირება ახალაიების და ბოკერიას ფლანგებს შორის მიმდინარეობს.

– პარტიის შიგნით მიმდინარე დაპირისპირებაში ახალაიების ფლანგსა და ბაქრაძე-ბოკერიას ფლანგს შორის, სამწუხაროდ, მიშამ პირველ ჯგუფზე გააკეთა ფსონი. ეს ჯგუფი ელექტორალურად უპერსპექტივოა და უსიტყვო მორჩილებისა და მიშას „უპირობო ლიდერად“ აღიარების ფონზე იყენებს მის ავტორიტეტს, ხოლო მიშა, თავის მხრივ, მათ იყენებს „ყოფილ თანამებრძოლთა“ პარტიიდან განკვეთის მიზნით. ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია და იგი არავის უჭირავს, – ამბობს კახიძე.

მისთვის გაუგებარია, რატომ არის ასეთი პრინციპული სააკაშვილისთვის ამ პოსტის შენარჩუნება.

– განა მისი ლიდერობა ცარიელ სკამზეა მიბმული? როგორ შეიძლება პოსტიდან გადააყენო ის, ვისაც ეს პოსტი არ უკავია? პარტიული დაპირისპირება მიშამ წამოიწყო პარლამენტში შესვლისა და მეორე ტურების ბოიკოტის იდეით, რასაც უჭერდა მხარს ახალაიების ფლანგი. შემდგომ ეს კიდევ უფრო გამწვავდა და უკვე მძიმე ფორმა მიიღო. არადა, მიშას მარტივად შეეძლო, ეს დაპირისპირება დაესრულებინა, თუკი შეწყვეტდა ივანიშვილთან გარიგებაში თანამებრძოლების დადანაშაულებას და მათ მოხსენიებას „ყოფილ თანამებრძოლებად“, ახირებულ ბლანჟეიანებად და პეროიანებად.

თავად შეეძლო დაესახელებინა თავმჯდომარის კანდიდატურა, რითაც გაიზრდებოდა ყრილობის პოლიტიკური ლეგიტიმაცია, იქნებოდნენ სხვა კანდიდატებიც, ჩატარდებოდა კენჭისყრა და პარტია გადადგამდა მორიგ ნაბიჯს წინ, დემოკრატიული განვითარებისკენ, – აცხადებს ოთარ კახიძე.

ყოფილი ხელისუფლების წევრებისთვის ყველაზე მძიმე დავით დარჩიაშვილის განცხადებაა, რომელმაც ნაციონალური მოძრაობის დასასრული იწინასწარმეტყველა.

– ტარას ბულბა გახსოვთ? მე გშობე და მევე მოგკლავ. დამაინტრიგებლად იკვეთება უკრაინული ლიტერატურული სახე და ენმ-ში მიმდინარე პროცესები. ენმ ამთავრებს არსებობას. ნუ, იმ ფორმით და შემადგენლობით, რითაც ქვეყნის მოდერნიზაციის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მცდელობასთან ასოცირდებოდა. დრამაა, მაგრამ ტრაგედია არა. ისტორია კი გაგრძელდება, – აცხადებს დავით დარჩიაშვილი.

* * *

სააკაშვილის ფლანგიდან ბრალდებებს აკაკი მინაშვილი გამოეხმაურა.

მან პარტიულ პოპონენტებს ჩაკეტილი ერთპიროვნული მმართველები უწოდა და გამიზნული ტყუილის გავრცელებაში დაადანაშაულა.

ყოფილი დეპუტატის მტკიცებით, ბოკერიას დაჯგუფება ცდილობდა, პარტიას მცირე ყრილობა გაემართა.

– ოთახის მმართველების სურვილი იყო მცირე ყრილობის ჩატარება 2.000 ადამიანის შემადგენლობით. მათი განზრახვა იყო, რომ პირადი კონტაქტების მეშვეობით გაეტანათ მათთვის სასურველი, პირადი ინტერესებით გამოწვეული, მაგრამ, ამავე დროს, პარტიის წევრების და მხარდამჭერების უმრავლესობისთვის არასასურველი და საზიანო გადაწყვეტილება.

ჩვენი ხედვა, რომელიც პოლიტიკურმა საბჭომ დაამტკიცა, გულისხმობს 7.000 დელეგატიან ყრილობას, იმ მასშტაბების სახალხო ფორუმს, სადაც მანიპულირება პირადი ურთიერთობებით შეუძლებელია და სადაც გამოხატული იქნება პარტიის წევრების და მხარდამჭერების ნამდვილი ნება, – ამბობს მინაშვილი.

მისი თქმით, 20 იანვარს დაგეგმილ ყრილობას დაესწრება 7.000 ადამიანზე მეტი. მინაშვილის განცხადებით, დღეს პარტია ამ დაუღალავი ადამიანების წყალობით აგრძელებს ბრძოლას.

სააკაშვილი პარტიაში გადატრიალებას სკაიპით აპირებს

მინაშვილი, სხვა მიშისტი ლიდერების მსგავსად, ადასტურებს იმ ინფორმაციას, რომ მოწინააღმდეგე ბანაკს ყრილობის ჩაშლა სურდა.

– მინდა იმედები გავუცრუო ყრილობის ჩაშლის მსურველებს – ეს ყრილობა იქნება, ერთი მხრივ, ემოციური, საქმიანი და მეორე მხრივ, სრულყოფილად ორგანიზებული, სადაც ყველა პოზიცია იქნება დაფიქსირებული და ყველა საკითხზე ჩატარდება ისეთი კენჭისყრა, სადაც თითოეული დელეგატის ხმა იქნება ჩათვლილი და დაცული. კენჭისყრის ფორმაზე უკვე მიდის მუშაობა, მათ შორის ჩატარებულია პილოტირება, – აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

ის სამდივნოს სხდომასაც შეეხო, რომელიც გივი თარგამაძემ გეკაჩეპედ მონათლა. მისი თქმით, პროცედურულად მათ არაფერი დაურღვევიათ. მას აინტერესებს, ამ საკითხებით ბოკერიას ფრთა აქამდე რატომ არასდროს დაინტერესდა.

– უცაბედად ახლა რომ დაინტერესდნენ ამ პროცედურული საკითხებით, რატომ ერთი კითხვაც არ დაუსვამთ ამ მიმართულებით პოლიტიკურ საბჭოს სხდომაზე? იმიტომ ხომ არა, რომ ეგონათ, აუცილებლად გაიმარჯვებდნენ და განსხვავებული მიდგომა არ აინტერესებდათ. ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავით ჩვენი პოზიციის სისწორეში და პოლიტსაბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერაში, უკეთესი გზების საძიებლად ბევრი კითხვა დავსვით.

თუ მათ ეს კითხვები აქვთ, 30 ნოემბრის მერე 22 დღეა გასული და აქამდე რატომ არავის გაახსენდა? იმიტომ ხომ არა, რომ ახლა ისინი გადადების ხელოვნური მიზეზების წარმოჩენას ცდილობენ?

ასევე შევახსენებ ყველას, რომ პოლიტსაბჭოს საბოლოო სხდომამდე ჩვენ შევთავაზეთ ჩვენს ოპონენტებს, გადაგვედო ყრილობა (მათი ხედვებით, ყრილობა 27 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო), რასაც ოთახის მმართველები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ. მხოლოდ მათი პოზიციის არგაზიარების შემდეგ მოუნდათ ყრილობის გადადება, – აღნიშნა მინაშვილმა.

მისი განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა გააგრძელებს ბრძოლას გამარჯვებამდე.

– ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ამ პარტიის ძალა არის იდეასა და ხალხში. პოლიტიკური ფიგურები, ვინც პროცესებს კულუარებიდან მართავდნენ, თავად გადაწყვეტენ, ჩაერთვებიან საორგანიზაციო პროცესში, თუ სხვა გზას დაადგებიან, ჩვენ კი გვინდა დავარწმუნოთ ყველა, 20 იანვარს ნაციონალური მოძრაობის ათასობით წევრი და მხარდამჭერი გამოხატავს თავის მკაფიო ნებას და ეს ყრილობა იქნება ოლიგარქზე გამარჯვების საწინდარი! – აცხადებს მინაშვილი.

თავისი პოზიცია დააფიქსირა მიხეილ სააკაშვილმაც. ის ყრილობის გადადებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

– თავის დროზე დანგრეული ქვეყანა ჩავიბარე და ის ავაშენე, ახლა ერთ ყრილობას ვერ ჩავატარებ? – განაცხადა სააკაშვილმა სკაიპით ჩართვისას.

* * *

ქვეყნიდან წასვლის შემდეგ სააკაშვილი თანაპარტიელებს ძირითადად სკაიპით ეკონტაქტება. ბოლო დროს მის ჩართვებს დიდი წივილ-კივილი მოსდევს და, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ის პარტიაში გადატრიალებას სკაიპით აპირებს.

დაჭოვებს თუ არა თანამდებობას თედო კობახიძე

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის საკრებულოში სკანდალი მწიფდება

დედაქალაქის საკრებულოში სკანდალები გრძელდება. სკანდალის მთავარი გმირი ამჯერადაც საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე თედო კობახიძეა.

რამდენიმე დღის წინ კონფიდენციალურმა წყარომ რუსთავი 2-ს თედო კობახიძის შესახებ სკანდალური მასალების ასლები მიაწოდა, მათ შორისაა საკრებულოს იურიდიული კომისიის ხუთი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათი, სადაც ისინი წერენ, რომ კობახიძე მათ დევნის, დისკრიმინაციას ახდენს და სამსახურიდან წასვლას აიძულებს. ერთ-ერთი მათგანი ანა ვარდოსანიძეა.

გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულმა თანამშრომლებმა ნოემბერში წერილობით მიმართეს საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს. გიორგი ალიბეგაშვილმა ამ ფაქტის შესახებ „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარეს რიმა ბერაძეს აცნობა. კონფედენციალური წყაროს აქტიურობა რომ არა, ეს საკითხი დღემდე გასაიდუმლოებული იქნებოდა.

ფაქტის გასაჯაროების შემდეგ ამ თემაზე „ქართული ოცნებაც“ ალაპარაკდა. საკრებულოს უმრავლესობა არ გამორიცხავს, რომ ამ საკითხზე საგამოძიებო კომისიამ იმუშაოს.

საკრებულოს ოპოზიცია კი თედო კობახიძის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვს. ნაციონალებმა მისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი საკრებულოს სხდომაზე დააყენეს.

ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნამ სკანდალური კობახიძე აღაშფოთა. მან ყოფილი ხელისუფლების მოთხოვნას ნაძირლობა და დადგმული შოუ უწოდა.

ფრაქცია „დედაქალაქის“ თავმჯდომარე ზაზა ვეკუა მიიჩნევს, რომ სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, კობახიძემ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება უფლებამოსილების შეჩერებაზე.

– ძალიან ბევრი კითხვა არის ამასთან დაკავშირებით. ჩვენ მოვუსმენთ იმ თანამშრომლებს და საინტერესო იქნება თედო კობახიძის აზრი. მიმაჩნია, რომ თავად თედომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, რომ შეიჩეროს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტის არჩევის წესი 2023 წელს შეიცვლება“

„მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილებას ცვლილებები არ შეეხება“

ნათია ხურცილავა

შაბათს, 24 დეკემბერს, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა იმართება. სხდომაზე საორგანიზაციო საკითხების განხილვა მოხდება.

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტის მონაწილეობა კონსტიტუციის შექმნაში, მის რედაქტირებაში კონსტიტუციითვეა უზრუნველყოფილი.

– ბატონო ავთანდილ, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მონაწილეობასთან დაკავშირებით თუ მიიღეთ შემოთავაზება?

– დიახ, პარლამენტის თავმჯდომარისგან პირადად მივიღე შემოთავაზება. რასაკვირველია, მე მზად ვარ, ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო კომისიას.

– უკვე ისმის კითხვის ნიშნები გარკვეული ჯგუფების მხრიდან კომისიის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი, მისი არც ერთი წარმომადგენელი არ იღებს კომისიაში მონაწილეობას. რამდენად დგას კომისიის ლეგიტიმურობის საკითხი?

– კომისია აბსოლუტურად ლეგიტიმურია და მე ამის არგუმენტი შემიძლია დაგისახელოთ: კომისია შექმნილია პარლამენტის საფუძველზე, პარლამენტს გააჩნია უფლება, რომ შექმნას ეს კომისია და დააკომპლექტოს. პარლამენტი კი ხალხის მიერ არჩეული აბსოლუტურად ლეგიტიმური ორგანოა.

რაც შეეხება პრეზიდენტის მონაწილეობას, არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, გარდა ერთი შემთხვევისა, 1993 წელს, როდესაც სახელმწიფოს მეთაური მონაწილეობდა კომისიაში. პირადად პრეზიდენტის არმონაწილეობა კითხვას არ იწვევს, მაგრამ კითხვას იწვევს ის ფაქტი, რომ მისი წარმომადგენლები არ მონაწილეობენ კომისიის მუშაობაში.

– ცნობილია, რომ პროექტის განხილვაში მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას, რამაც უმრავლესობაში კითხვები გამოიწვია.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აქტიურად მიიღებს მონაწილეობას პროექტის საერთო სახალხო განხილვაში, რაც სწორი ნაბიჯია პრეზიდენტის მხრიდან. პროექტის განხილვა იქნება აპრილის ბოლოს, რაც პარლამენტი პროექტს მიიღებს. პრეზიდენტის მონაწილეობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, თქვენ იცით, რომ კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტს ხელი პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს, გამოაქვეყნოს და შემდეგ შედის ძალაში. მას შეუძლია შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს. ამიტომ, პრეზიდენტის მონაწილეობა კონსტიტუციის შექმნაში, რედაქტირებაში კონსტიტუციითვეა უზრუნველყოფილი.

– თუ უარი თქვა ხელმოწერაზე და შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს?

– ეს პროცედურაც ცალსახად არის კონსტიტუციაში გაწერილი. პარლამენტის უმრავლესობა პრეზიდენტის ვეტოს გადალახავს. თუ პრეზიდენტი ამასაც არ მოაწერს ხელს, მაშინ ირაკლი კობახიძე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მოაწერს ხელს და გამოაქვეყნებს. თუმცა, აქ რთული პროცედურაა.

– რატომ?

– პროექტი ორჯერ უნდა იყოს მიღებული პარლამენტის მიერ. პირველი ალბათ მაისში იქნება მიღებული და მერე სექტემბერ-ოქტომბერში დადგება ეს საკითხი პარლამენტში. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება პრეზიდენტის მიერ ხელმოწერის საკითხი.

– რა საკითხებს შეეხება და განიხილავს ეს კომისია?

– პირველი. დღემდე არ გვაქვს დადგენილი ტერიტორიული მოწყობის სრული რეგულაცია, რასაც მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ითხოვს.

მეორე. სასურველია, კომისიამ ასევე ორპალატიან პარლამენტზე იმსჯელოს, რაც მე-20 მუხლით არის მოთხოვნილი.

ეს გახლავთ ჩემი ვარაუდი, თუმცა, მე ვიცი ირაკლი კობახიძის პროგრამა, თუ რა არის შესაცვლელი კონსტიტუციაში. ჯერ კიდევ 2010 წელს, იმ კომისიაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ბატონმა ირაკლიმ წარმოადგინა თავისი პროგრამა ბერლინის კონფერენციაზე.

– მისი ხედვა როგორი იყო მაშინ?

– ეს ეხებოდა ძირითადად ხელისუფლების დაბალანსებას, რაზეც მას არაერთხელ უსაუბრია. პირველ რიგში აქ იგულისხმება პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილების დაკონკრეტება და გაზრდა. იქნება მცდელობა, რომ გაკეთილშობილდეს ე.წ. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი, რომელიც დამახინჯებულია და არ ჰგავს გერმანულ მოდელს, საიდანაც ჩვენ გადმოვიღეთ.

იქნება საკითხები, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებას ეხება. მე პირადად დავსვამ საკითხს, რომ მოსამართლეებს სამწლიანი გამოსაცდელი ვადა აღარ ჰქონდეთ. ასევე დავსვამ საკითხს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცეს უფლება, უზენაესი სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხი გადასინჯოს. კიდევ იქნება სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ნაკლოვანებად არის მიჩნეული მოქმედ კონსტიტუციაში.

– ბატონო ავთანდილ, პირველი, რაც გახმოვანდა, იყო პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილება. პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი გვეყოლება თუ მას პარლამენტი ან ამრჩევი ორგანო აირჩევს? კონსტიტუციის ეს ნორმა გადაისინჯება?

– დიახ, ეს საკითხი იქნება განხილული, როგორც ჩვენ აქამდე გაკეთებული განცხადებებიდან მოვისმინეთ, მაგრამ არ დაკონკრეტებულა, რა მიმართულებით იქნება ნაბიჯი გადადგმული.

– მოქმედი პრეზიდენტის გარეშე ამ საკითხის განხილვა კითხვებს არ გამოიწვევს?

– მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, რასაკვირველია, ეს არ შეეხება.

– პრეზიდენტი მარგველაშვილი თავის ვადას დაასრულებს?

– რა თქმა უნდა. მეტიც, დარწმუნებული ვარ, ვიცი რამდენიმე ექსპერტი, რომლებიც იღებენ ამ კომისიაში მონაწილეობას და ისინი აპირებენ დააყენონ საკითხი, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ქვეყნის პრეზიდენტი პირდაპირი წესით იყოს არჩეული, როგორც დღეს ვირჩევთ, 2023 წლისთვის კი მოხდეს ცვლილება არჩევის წესთან დაკავშირებით. ამაზე უკვე შეიძლება დისკუსია და მსჯელობა.

– რატომ 2023 წლისთვის?

– ჩემი აზრით, პირდაპირ ახლა, 2018 წელს, რომ მოხდეს პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ, ეს ძალიან დიდ ეჭვებს გამოიწვევს. პოლიტიკურ კონიუნქტურას ვერ გაექცევა ამ შემთხვევაში მმართველი ძალა, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ვიცი, რომ ამას ჯერ კიდევ 2010 წელს ამბობდა ირაკლი კობახიძე. ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნების“ ინტერესშია, ამგვარ გადაწყვეტილებას თავი აარიდოს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მარიამ მჭედლიშვილი

მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობა იქცევა ისე, როგორც რუსეთს აწყობს“

გავრცელებული ინფორმაციით, თებერვალში გამოცხადდება ახალი პროდასავლური მოძრაობის შექმნა. მასში, პოლიტიკოსების გარდა, შევლენ დიპლომატები და ექსპერტები. „ახალი თაობა“ პოლიტიკის სპექტრში მიმდინარე მოვლენებზე ესაუბრა „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს

მირიან მირიანაშვილი:

– რომელიმე პარტიის ან მოძრაობის პროდასავლურად გამოცხადება არაფერს ნიშნავს. საქართველოში ბევრ ძალას დაურქმევია პროდასავლურის სახელი, მაგრამ რეალურად შეუსრულებია რუსეთის დავალებები.

– ითვლება, რომ არჩევნების შემდეგ სხვებზე მეტად პროდასავლური ძალები ჩამოიშალა.

– პროდასავლური ნიშა არჩევნებამდეც ცარიელი იყო. სხვებზე მეტად დასავლურობას იბრალებდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. სინამდვილეში მისი ლიდერები არასდროს ყოფილან დასავლურები და დემოკრატიულები. პირიქით, ისინი პირდაპირ კავშირში იყვნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩემ მიერ დაფუძნებულ ნაციონალურ მოძრაობას ისაკუთრებდნენ.

– ამის დასაბუთებაც შეგიძლიათ?

– ბუნებრივია. პარტია რომ წამართვეს, სააკაშვილთან და მის თანამზრახველებთან სასამართლოში დავა მქონდა. სააკაშვილის გუნდელი კოტე კემულარია იმ პერიოდში მემუქრებოდა, რომ თუ არ გავჩერდებოდი, რუსეთის სპეცსამსახურები გადამივლიდნენ. მისი თქმით, „ცენტრი“ სპეცრაზმსაც გამოაგზავნიდა, თუ საჭირო გახდებოდა. არ იცი, ვისი კარტები არიეო, მეუბნებოდა კემულარია, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების გამოცდილი აგენტი იყო. მისი თქმით, ისეთი რამ მელოდა, რომ მე და ჩემი ოჯახი ერთმანეთს ვერ ვიპოვიდით.

პარტიის გარშემო დავაში აქტიურად იყო ჩართული სააკაშვილის ბიძის, ალასანიას ხალხი. კულუარებში სააკაშვილი და კემულარია ტრაბახობდნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირებით.

– ითვლება, რომ რუსეთს მაინცდამაინც არ აინტერესებს პოლიტიკური პარტიები საქართველოში.

– რუსეთის სპეცსამსახურებმა თავიდანვე დაამყარეს გავლენა საქართველოს პოლიტიკურ სპექტრსა და ინსტიტუციებზე. მათ დაიპყრეს ნაციონალური ნიშაც, რომელიც ჩემს პარტიას ეკავა და ის დაუქვემდებარეს სააკაშვილს, ჟვანიას, ანუ, ფაქტობრივად, თავის ინტერესებს. ნაციონალურ მოძრაობას არასდროს არაფერი გაუკეთებია რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო. ის იქცევა ისე, როგორც რუსეთს აწყობს.

კემულარია იუსტიციის მინისტრად საქართველოში ჩამოიყვანა ჯაბა იოსელიანმა. მანამდე კემულარია რუსეთის გენპროკურატურის ცენტრალურ აპარატში მუშაობდა. მომავალში, სააკაშვილის დროს, რუსეთის უშიშროების აგენტ კემულარიას ჩააბარეს ეროვნული უშიშროების მდივნის პოსტი, ანუ მთელი ქვეყნის უსაფრთხოება. რომელ დასავლურობაზეა ლაპარაკი? ჩემს დევნილობაში და აქაც ბევრჯერ მქონია კონტაქტი ამერიკელებთან. კარგად ვიცი მათი პოზიცია. მათაც ეჭვი ეპარებათ ვითომ დასავლელი პოლიტიკური ლიდერების გულწრფელობაში. ისინი საქართველოში პროდასავლურ ძალებს ვერ ხედავენ.

– ნაციონალური მოძრაობა ახლაც ითვლება მთავარ პროდასავლურ ძალად.

– ესაა პოლიტიკური მიმიკრია. არანაირი დასავლური ძალა ეს არ არის. ეს პარტია საქართველოში, სააკაშვილი კი უკრაინაში აკეთებენ რუსეთის საქმეს. ისინი ქმნიან დაძაბულობის კერებს.

რუსეთს ამ ეტაპზე საქართველოსთვის ნაკლებად სცალია. ნაციონალური მოძრაობაც გაჩერებულია. მას აქტიურობის დავალება პატრონებისგან არ მიუღია. ნაცმოძრაობის მთელი საქმიანობა რუსეთისთვის იყო სასარგებლო. ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილის რეჟიმმა რუსეთს დაუთმო მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტები ენერგეტიკის, კომუნიკაციების, წყალმომარაგების და სხვა სფეროებში.

საქართველოში შემოსული ამ რუსული კომპანიების მეპატრონეები რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პირები არიან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროდასავლურობა ისეთივე ფიქციაა, როგორც ამ პარტიაში გუნდებს შორის სერიოზული კონფლიქტი. არც ნაცმოძრაობიდან გამოსული პოლიტიკოსები ქმნიან პროდასავლურ ნიშას. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ვერ ხდება საქართველოს ინტეგრაცია დასავლურ სტრუქტურებში.

– ვიზალიბერალიზაციას ხომ გვპირდებიან?

– ვიზალიბერალიზაცია საჭიროა, მაგრამ ეს არ ნიშნავს დასავლეთთან სერიოზულად დაახლოებას. გავიდა ამდენი წელი და ვერაფრით შევამცირეთ დისტანცია ნატოსთან და ევროკავშირთან. ეს დისტანცია ისეთივეა, როგორიც იყო, როცა ამ სტრუქტურებთან პირველ კავშირებს ვამყარებდით. ამას ხშირად დასავლეთს აბრალებენ, მაგრამ იქნებ მიზეზი ჩვენშია?!

„ნატოსთან და ევროკავშირთან დისტანციის შემცირება დღემდე ვერ მოვახერხეთ“

დატოვებს თუ არა თანამდებობას თედო კობახიძე

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თავისი უფლებამოსილება. შეუძლებელია რაიმე ვთქვა ან ერთი, ან მეორე მხარის სასარგებლოდ. ნამდვილად არ გვაქვს ინფორმაცია, გავეცნობით და გავერკვევით სიტუაციაში. მარტო ოპოზიცია არა, პირველ რიგში, ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ სურვილი უნდა იყოს, რომ ყველაფერში სათანადოდ გავერკვეთ, – განაცხადა ზაზა ვეკუამ.

მის მოსაზრებას იზიარებს საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი.

– უხერხულია სკამზე ასეთი ჩაფრენა და ჩაბღაუჭება. უხერხულია საკუთარი თანამშრომლების ლანძღვა და ჭორიკნებად მოხსენიება, – მიმართა ელისაშვილმა კობახიძეს.

დამოუკიდებელი დეპუტატის განცხადებით, ის ყველაფერს გააკეთებს იურიდიული სამსახურის ხუთი თანამშრომლის უფლებების ბოლომდე დასაცავად.

– თბილისურ ქცევაზე როცა ლაპარაკობ, დაფიქრდი კარგად, რა უნდა მოყოლოდა ქეთო ტურაზაშვილთან შენს დამოკიდებულებას. აბა კარგად დაფიქრდი. ზედმეტს არ ვიტყვი იმიტომ, რომ ქეთო ჩემი მეგობარია... თავაშვებულად რომ იქცეოდა თედო კობახიძე, ყველამ ვიცით, – განაცხადა ელისაშვილმა.

მან საკრებულოს იურიდიული კომისიის წევრის პრემიის გარეშე დატოვების ფაქტიც გააპროტესტა.

– 23 დეკემბერს პრემია ჩაერიცხა ყველა თანამშრომელს ანა ვარდოსანიძის გარდა. რამდენიმე წუთის წინ მოხდა ეს და ნუ გვატყუებ აქ ყველას, – უთხრა ალეკო ელისაშვილმა თედო კობახიძეს.

ცნობისთვის, ანა ვარდოსანიძე საკრებულოს იურიდიული კომისიის მთავარი სპეციალისტია. მისი თქმით, საკრებულოში არსებობენ ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, რომლებიც სამსახურში არ დადიან, თუმცა ხელფასებსა და პრემიებს იღებენ.

– არიან აქ ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, რომლებიც არ გვინახავს საერთოდ, – აცხადებს ვარდოსანიძე.

ელისაშვილი დარწმუნებულია, რომ ვარდოსანიძე ამ განცხადების გამო დარჩა პრემიის გარეშე.

გარდა იმისა, რომ ბრალდებები უარყო, კობახიძე საკრებულოს წევრებს არაკოლეგიალობაში ადანაშაულებს.

– ეს არის დისკრედიტაცია და ნაძირლობა. არავის გიცდიათ მოსულიყავით მეგობრულად და თბილისურად გაგერკვიათ, რა ხდებოდა რეალურად, – უსაყვედურა კობახიძემ საკრებულოს წევრებს.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მტკიცებით, 2014 წლიდან იურიდიულ კომისიას 5 თანამშრომლებისთვის 32.000 ლარზე მეტი ოდენობის პრემია აქვს გაცემული.

თედო კობახიძემ ისიც უარყო, რომ იურიდიული სამსახურის 5 თანამშრომელი რაიმე ზეწოლას განიცდიდნენ.

– არავითარი შეზღუდვა მათ მიმართ არ ყოფილა და ეს არის დისკრედიტაცია საკრებულოსი და ნაძირლობა ამ თანამშრომლების მხრიდან. მათ შეცდომაში შეიყვანეს დეპუტატები. თუმცა, საკრებულოს ოპოზიციონერ წევრებს არ ჰქონიათ სურვილი, სიტუაციაში გარკვეულიყვნენ, – განაცხადა კობახიძემ.

„ელჩის მკვლელობით რუსეთსა და თურქეთს შორის ხინჯი მაინც დარჩება“

გულიკო ბალაძე

რა ვითარება იქმნება თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობით? სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია ამ საკითხზე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, რა ვითარება იქმნება თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობით?

– საკმაოდ რთული ვითარებაა. ელჩის მკვლელობა არის მასშტაბური ტიპის პოლიტიკური ტერაქტი. ნებისმიერი ქვეყანა შეწუხდებოდა. ასეთი შემთხვევა ძალიან ცოტაა წარსულ და თანამედროვე ისტორიაში.

ბუნებრივია, ვითარება პიკს აღწევს, რადგან ხდება ძალთა გადანაწილება ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით.

– ანუ ახლო აღმოსავლეთში ტერიტორიის გადანაწილება ხდება და შექმნილი ვითარებაც აქედან გამომდინარეობს?

– ასეც არის. ძალთა ახალი გადანაწილება ხდება და ძალიან რთული ვითარებაა. შეიძლება, იმაზე რთული ვითარება შეიქმნას, ვიდრე დღეს არის.

– როცა ასეთი ფაქტი ხდება, ჩნდება კითხვები: ვის აწყობდა ეს? ვინმეს შეკვეთით ხომ არ მოხდა ასეთი მაღალი დონის მკვლელობა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ მკვლელი, რომელიც თურქეთის პოლიციის თანამშრომელი იყო, დამოუკიდებლად მოქმედებდა იმ საშინელი ფაქტებიდან გამომდინარე, რომლებიც ალეპოში მოხდა?

– მკვლელი დამოუკიდებლად არ მოქმედებდა. მას ჰქონდა ძალიან მკაფიო დავალება. მას ჰქონდა მაღალი დონის სადაზვერვო ინფორმაცია. მან იცოდა, იქ როგორი ტიპის დაცვა იქნებოდა, ანუ მკვლელი კარგად გაწვრთნილი და მომზადებული იყო.

– ვისგან შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის ელჩის მკვლელობა შეკვეთილი?

– ისლამური ხალიფატისგან.

– იქნებ მკვლელი აღშფოთებული იყო ალეპოში მომხდარი საზარელი ფაქტების გამო და ამან უბიძგა მკვლელობისკენ?

– რა თქმა უნდა, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ისლამურ სახელმწიფოს აწყობდა ის, რაც მოხდა ალეპოში.

– ხომ ცნობილია, თვითონ ისლამურმა ხალიფატმა ბავშვები როგორ დასაჯა, როგორ აფეთქებდა ტაძრებს და ა.შ. აქედან გამომდინარე, ისლამურ ხალიფატს კიდევ ვინმეს მოქმედება გაუკვირდა?

– არ გაუკვირდა, მაგრამ ალეპოში მომხდარს იყენებს თავისი პროპაგანდისტული მიზნებისთვის და კიბერომის საწარმოებლად.

– რუსეთის ელჩის მკვლელობა რაზე იყო გათვლილი? რუსეთის ელჩის მკვლელობით რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებას მოელოდნენ?

– მიზანი იყო რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გაფუჭება, ასევე ისლამური სახალიფო უნდა გამოსულიყო საზოგადოების დამცველი და კიდევ ერთხელ შეეხსენებინა საზოგადოებისთვის, რა ძალა აქვს მას.

– კი მაგრამ, არც რუსეთი და არც თურქეთი არ წამოეგნენ ამ ანკესს.

– არ წამოეგო, მაგრამ ხინჯი მაინც იქნება ამ ურთიერთობაში, რაც ელჩის მკვლელობით გაჩნდა.

– რას იტყვით იმაზე, რომ თქვეს, კვალი ფეთხულა გიულენამდე მიდისო?

– ეს არის კიდევ ერთი ყბადაღებული თემა, შიდა თურქული თემა, რომელიც გამოიყენეს გიულენზე კიდევ ერთი დარტყმისთვის.

– რაღაცნაირად რაღაც მომენტში რუსეთი, თურქეთი და ასადის რეჟიმი ერთიან მოთამაშედ გამოჩნდნენ. თურქეთი ვის თანაუგრძნობდა? ასადის რეჟიმთან კავშირებში არის შემჩნეული?

– არა, პირიქით, ასადის რეჟიმისა და თურქეთის ხელისუფლება დაუძინებელი მტრები არიან, მაგრამ მოხდა რუსეთის, თურქეთისა და ასადის რეჟიმის ინტერესების დამთხვევა.

– რა კუთხით?

– სხვადასხვა კუთხე არსებობს. თურქეთის ინტერესია, დაცული იყოს ალეპოს ჩრდილოეთით მთებში მცხოვრები თურქული წარმოშობის ტომები და კლანები. თურქეთისთვის მათი დაცვა მთავარია. თურქეთი წავიდა მოლაპარაკებაზე. რუსეთი გამოვიდა გარანტორი, რომ მათ არ შეეხებოდნენ. ეს არის და ეს. პირიქით, თურქეთმა თქვა, რომ საბოლოო მიზანი არის ასადის რეჟიმის გადაყენება. მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთის საბოლოო მიზანი ასადის რეჟიმის გადაყენებაა.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

დაიმტკიცეთ განვადება წინასწარ

10 წამში

შეავსეთ მარტივი ფორმა და გაიგეთ რა ლიმიტის ფარგლებში
დაგიმტკიცდებათ განვადება

ეწვიეთ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებს და
შეავსეთ თქვენი პირადი ინფორმაცია
განვადების სტენდზე

რევაზ არველაძე: „დენის ტარიფი არ გაიზრდება“

ნონა ცაბაძე

ენერგეტიკაში შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობის“ კითხვებს ენერგეტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი რევაზ არველაძე პასუხობს.

– ბატონო რევაზ, სემეკი ტარიფის მომატების საკითხზე მსჯელობს. როგორია თქვენი შეფასებები?

– ენერგეტიკული კომპანიები ითხოვენ მატებას, ხოლო სემეკი ვალდებულია, განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს. თუ ეს ობიექტური მოთხოვნილება იქნება გაზრდის ან შემცირების თაობაზე, ვალდებულია, დააკმაყოფილოს.

– რა მოხდება?

– შესაძლოა, სემეკმა მიიღოს გადაწყვეტილება და რომელიმე ენერგეტიკულ კომპანიას გაუზარდოს ტარიფი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად გაიზარდოს სამომხმარებლო ტარიფიც. მოსახლეობისთვის ტარიფის გაზრდა ძალიან ფაქიზი საკითხია, ძალიან სერიოზულად უნდა განიხილოს ყველა ეს მოთხოვნა ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ. თუ გაიზარდა თბოელექტროსადგურის ტარიფი, ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად გაიზრდება სამომხმარებლო ტარიფი.

– დღეს რა სურათია ამ კუთხით?

– დღეს ჩვენ რეალურად ვხედავთ ისეთ სურათს, რა მონაცემებიც მაქვს ხელთ, რომ თბოელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავება საკმაოდ შემცირებულია. ასევე შემცირებულია იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა. შემცირებულია ფასი იმპორტირებული ელექტროენერგიისა. აქედან გამომდინარე, სემეკმა უნდა ნახოს, რომელი რომელს გადაწონის და რა მონაცემებიც მე მაქვს, სამომხმარებლო ტარიფი მოსახლეობისთვის არ უნდა გაიზარდოს.

– მაინც თუ გაიზარდა?

– ელექტროენერგია ყველა პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობს. იმ პროდუქციაში, რომელშიც ელექტროენერგიის წილი ცოტაა, ფასზე გავლენს არ მოახდენს, მაგრამ არსებობს პროდუქცია, რომელშიც საკმაოდ დიდია ელექტროენერგიის წილი.

– რამდენად იმოქმედა ლარის გაუფასურებამ ელექტროენერგიის ტარიფზე?

– იმოქმედა იმ ნაწილში, რომელიც ეკუთვნის თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებულ ელექტროენერგიას. ამ ნაწილის წილი კი 20%-ს არ აჭარბებს საერთო ბალანსში. აქედან გამომდინარე, თვითონ თბოელექტროსადგურების წილი შეიძლება იყოს 10-12% და ამიტომ დიდი გავლენა არ ექნება.

ორშაბათიდან დაიწყება სამომხმარებლო ტარიფების განხილვაც და იქ დადგინდება უკვე მარეგულირებელ კომისიაში, რამდენად იმოქმედებს ეს ყველაფერი სამომხმარებლო ტარიფზე. მე მიმაჩნია, რომ ამან ვერ უნდა გადაწონოს ის დადებითი ფაქტორი, რომელიც არის ის, რომ შემცირდა თბოსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა და შემცირდა ასევე იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა. შემცირდა იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასიც.

– რას იტყვით ბუნებრივ აირზე? არსებობს ტარიფის მატების ობიექტური მიზეზები?

– ობიექტური მიზეზი ის არის, რომ ლარის კურსი შეიცვალა. ბუნებრივი აირის ფასი მთლიანად არის ლარის კურსზე მიბმული. ბუნებრივ აირს ჩვენ ხომ არ ვაწარმოებთ. ბუნებრივ აირს 100%-ით ვიღებთ უცხოეთიდან.

– გაძვირდება მოსახლეობისთვის ბუნებრივ აირზე ტარიფი?

– ბუნებრივი აირის ტარიფი, ალბათ, მოიმატებს. ვერ გეტყვით, რამდენით, მაგრამ, ალბათ, მოიმატებს. ეს დაკავშირებული იქნება იმასთან, რამდენი იქნება ჩადებული ბუნებრივი აირის ტარიფის გაანგარიშების დროს ლარის კურსი დოლართან.

– ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური კრიზისია. არსებობს რაიმე გეგმა, სტრატეგია ამ კრიზისის გადასალახად, ან რას აკეთებს პარლამენტი?

– ძალიან სერიოზული მუშაობაა მაგ მიმართულებით, არა მარტო მუშაობა მთავრობის მხრიდან, არამედ სერიოზული ხელის შემშლელი მუშაობაც.

– ხელის შემშლელ მუშაობაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ მთავრობას ხელი შეეშალოს ამ მიმართულებით.

– ხელს ვინ უშლის? ახლა არ თქვათ, ისევ ნაციონალური მოძრაობაო.

– ძალიან კარგი ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტები არსებობს. მარტო ამ მხრივ 6 მილიარდი დოლარი უნდა შემოვიდეს ქვეყანაში, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ლარის სტაბილურობასა და გამყარებას. ეკონომიკის სამინისტრო ამ კუთხით თავს არ ზოგავს, რომ მოიძიოს ახალი ინვესტორები, ასევე დაარწმუნოს ძველი ინვესტორებიც, რომ არანაირი რისკის მქონე ქვეყანა საქართველო არ არის და საქართველოში შემოსვლით მათ კაპიტალს საფრთხე არ ემუქრება.

რაც შეეხება ხელის შემშლელ მუშაობას, გასული ოთხი წლის განმავლობაში სერიოზული აგიტაცია-პროპაგანდა მიმდინარეობდა საქართველოს მთავრობის მოწინააღმდეგე ძალების მხრიდან, რომ საქართველო არის არასტაბილური, არამდგრადი, განსაკუთრებული რისკის მქონე ქვეყანა, რომ საქართველოში მთავრობა მოყვანილია რუსეთის მიერ, რომ საქართველო ამ მხრივ სანდო არ არის.

– ამან იმოქმედა ჩვენს ეკონომიკაზე?

– ეს ძალიან აფრთხობს ინვესტორს. სწორედ ნაციონალური მოძრაობა იყო, რომელიც ამერიკის სენატორებსა და ევროპის სახალხო პარტიის ლიდერებს ალაპარაკებდა მსგავს თემებზე! ოპოზიციური ძალები დღემდე იმას გაიძახიან, რომ არაპროფესიონალური გუნდი ჰყავს საქართველოს, რომ ისინი უნიათოები არიან და ვერაფერს სთავაზობენ მოსახლეობას.

– კი მაგრამ, ხელისუფლებამ ხომ უნდა შეძლოს და საქმით საპირისპირო დაამტკიცოს? რატომ ვერ ახერხებს ამას?

– სერიოზული აგიტაცია მიმდინარეობს. ამ პროცესში ჟურნალისტთა გარკვეული ნაწილიც არის ჩართული. ამ აგიტაციამ ხალხის გარკვეულ ნაწილში შეიტანა ეჭვი, რომ მართლა არ ვარგა ეს მთავრობა და, თუ რამე გვაქვს, ეს ლარები უცხოურ ვალუტაში გადავიყვანოთ. ამ პანიკამ კი მოიტანა ის შედეგი, რომელიც მოიტანა. მოსახლეობის მხრიდან აქტიურად დაიწყო დოლარის შესყიდვა. აქ მილიონებზე არ არის საუბარი, მაგრამ, ადამიანს თუ აქვს გადანახული 1.000 ლარი, ურჩევნია, ის დოლარში ჰქონდეს.

ლარი ისევ გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა.

24 დეკემბრიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.7507 ლარია. კურსი, რომელიც 23 დეკემბერს მოქმედებდა, 2.7710 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0203 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა.

კერძოდ, 24 დეკემბრიდან 1 ევროს შეძენა 2.8739 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა 23 დეკემბერს მოქმედი კურსი 2.8999 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0260 ლარი შეადგინა.

თურქი მძღოლები ქართველ მებაჟეებს ბარიერების შექმნას აბრალებენ

თბილისი კომენტარებს არ აკეთებს

თურქი მძღოლები ქართველ მებაჟეებს ბარიერების შექმნას აბრალებენ

თბილისი კომენტარებს არ აკეთებს

თურქი მძღოლები ქართველ მებაჟეებს საზღვარზე გადაადგილებისას ხელოვნური ბარიერების შექმნაში ადანაშაულებენ.

თურქეთის საერთაშორისო გადაზიდვების ასოციაციის თავმჯდომარე აბდულა ოზერის განცხადებით, აღნიშნული პრობლემები სარფის საბაჟოზე იქმნება, სადაც თურქულ ტრაილერებს შემოწმების მიზნით თავიდან ბოლომდე ცლიან და შემდგომ ისევ ტვირთავენ, ხოლო ამის გამო სრული გაუგებრობა ხდება.

აბდულა ოზერის განცხადებით, სიტუაციას ართულებს ისიც, რომ სასაზღვრო პუნქტი რემონტის გამო სანახევროდ დაკეტილია.

ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, მან უკვე მოახსენა შექმნილი სიტუაცია ეკონომიკის მინისტრ ბიულენტ თუფენჩის. ის ესაუბრა ქართულ მხარეს და მიიღო დაპირებები, რომ პრობლემები აღმოიფხვრება. თუმცა ამ დრომდე არაფერი შეცვლილა.

– იყო თურქი – ეს რა, დანაშაულია? თურქული ნომრები აკრძალულია საქართველოში? უკეთესი ხომ არ იქნება, შევქმნათ კომპანიები აზერბაიჯანში ან თურქმენეთში და ეს მოხსნის პრობლემას? როდესაც ვაძლევთ ქრთამს, მაშინ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა. გვირჩევნია, ქართველ პარტნიორებთან პატიოსნად ვიმუშაოთ. სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ სიტუაცია არ გამოსწორდება, სანამ უშუალოდ პრეზიდენტი ერდოღანი არ ჩაერევა, – ამბობს აბდულა ოზერი.

* * *

რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვის შემდეგ თურქულმა ტვირთნაკადმა შუა აზიისკენ შეიცვალა მიმართულება. ამის გამო, რუსეთისა და ყაზახეთის ნაცვლად, სატრანსპორტო ნაკადი საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით წავიდა. რუსული სანქციების მოხსნის შემდეგ სატრანსპორტო კომპანიების ნაწილი ამ მარშრუტზე დარჩა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. როგორც „კომერსანტს“ უწყებაში განუცხადეს, განცხადებას მხოლოდ კონკრეტული ფაქტების ან ფაქტის დასახელების შემდგომ გააკეთებენ.

– რაც შეეხება ბრალდებებს, დაგვისახელეთ კონკრეტული ფაქტი ან ფაქტები, რომელთაც შემდგომ ჩვენ შევისწავლით და აღნიშნულზე შესაბამის ინფორმაციას მოგაწვდით. სხვა დეტალებზე ვერ ვისაუბრებთ, – განაცხადეს შემოსავლების სამსახურში.

აღსანიშნავია, რომ ქართველო მებაჟეების მიმართ ეს პირველი ბრალდება არ არის. „კომერსანტი“ აღნიშნულ საკითხზე ადრეც წერდა. მაშინაც ქართული მხარე ბრალდებებს ან უარყოფდა, ან კომენტარს საერთოდ არ აკეთებდა.

დავით ასლანიშვილი: ბიუჯეტს აწყობდა, რომ კურსი ასე დაცემულიყო, რათა ადვილად შევსებულიყო

ლარის კურსი 13-14 იანვრამდე 2.5-2.6 ნიშნულამდე გამყარდება.

ამის შესახებ განცხადება საბანკო ექსპერტმა დავით ასლანიშვილმა „კომერსანტთან“ გააკეთა. მისი შეფასებით, ის, რომ ბოლო 2 დღეა, ლარის კურსი მყარდება, რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული, კერძოდ, რეფინანსირების სესხების კურსში ასახვა, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენცია და ახალი წლის პერიოდში გააქტიურებული ვალუტის შემოდინება.

– ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე დღის წინ 40 მილიონი დოლარის ინტერვენცია განახორციელა, რის შედეგადაც ბაზრიდან დაახლოებით 100 მილიონი ლარი ამოიღო. ამას ემატება ის, რომ ბიუჯეტი შესრულდა. სახელმწიფო ბიუჯეტს აწყობდა, კურსი ასე დაცემულიყო, რათა ადვილად შევსებულიყო.

დღგ-ის ნაწილში პრობლემა არსებობდა. საუბარი იყო 600-მილიონიან დანაკლისზე. კურსთა შორის სხვაობით კი გადაბალანსდა მინუსები გრანტებშიც და სხვა დარგებშიც. ამას ემატება საახალწლო პერიოდი და ამ დროს გააქტიურებული სავალუტო შემოდინებები. ამ რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია ლარის მოკლევადიანი გამყარება, – აცხადებს ასლანიშვილი.

მისი პროგნოზით, ლარის გამყარება დაახლოებით 13-15 იანვრის პერიოდამდე გაგრძელდება. შედეგად, დასახელებულ დროს ეროვნული ვალუტა დაახლოებით 2.5-2.6-ის ფარგლებში გამყარდება.

კომერსანტ-გე

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

მეეზოვეები და სხვა დაბალანაზღაურებადი პირები მე-13 ხელფასს მიიღებენ

– თბილისის მერიის სტრუქტურებში დასაქმებული დაბალანაზღაურებადი პირები მე-13 ხელფასს მიიღებენ.

ამის შესახებ 23 დეკემბერს თბილისის საკრებულოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც სამუშიამ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, თბილისის საკრებულოსა და დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, საახალწლოდ მეცამეტე ხელფასს არ აიღებენ თვითმმართველობის მაღალი თანამდებობის პირები და მათ ნაცვლად მეცამეტე ხელფასს მიიღებენ მეეზოვეები, დასუფთავების მანქანის მძღოლები, მათი დამხმარეები, ავტობუსის მძღოლები, მეტროს კონტროლიორები, საბავშვო ბაღის აღმზრდელები და სხვები.

ჯაბა სამუშიას თქმით, მიმდინარე წელს ტენდერებიდან მიღებული ეკონომიის შედეგად 6.5 მილიონი ლარი დაგროვდა. აღნიშნული თანხა სწორედ ამ პირების მეცამეტე ხელფასისთვის გაიცემა.

ჯაბა სამუშიას განცხადებით, ეს ადამიანები საჭიროებენ წახალისებას. მან საუბრისას ვერ დააკონკრეტა, რა რაოდენობის პირი მიიღებს მე-13 ხელფასს. განაცხადა, რომ ამ პირთა რაოდენობის დათვლა მოხდება.

ბიბიენი

დონალდ ტრამპი: „აშშ-ის ბირთვული არსენალი უნდა გაფართოვდეს“

აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ის ბირთვული არსენალი უნდა გაფართოვდეს.

– დღეს მსოფლიოში უაღრესად დაძაბული მდგომარეობაა. სუსტი ამ ჯუნგლში ვერ გადარჩება! ჩვენ უნდა ძლიერები ვიყოთ, რათა პირველობა შევინარჩუნოთ! – თქვა ტრამპმა.

სტამბოლის პოლიციამ „ისლამური სახელმწიფოს“ 31 სავარაუდო წევრი დააკავა

სტამბოლის პოლიციამ ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, 23 დეკემბერს, „ისლამური სახელმწიფოს“ 31 სავარაუდო წევრი დააკავა.

სტამბოლის პროკურატურამ ტერორისტული დაჯგუფების საქმიანობის გამოძიების ფარგლებში 41 ადამიანის დაკავების ორდერი გასცა.

ლიბიაში სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს

ლიბიაში, სავარაუდოდ, ორმა პირმა სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა. უცხოური მედიის ინფორმაციით, თვითმფრინავის ბორტზე 118 ადამიანი იმყოფებოდა.

ბოლო ინფორმაციით, გატაცებული სამგზავრო თვითმფრინავი მალტაში დაეშვა. გამტაცებლები ლაინერის აფეთქებით იმუქრებოდნენ.

სამგზავრო თვითმფრინავი ლიბიაში შიდა რეისს ახორციელებდა.

მოგვიანებით გამტაცებლებმა ყველა მგზავრი და ეკიპაჟის ყველა წევრი გაათავისუფლეს. ამის შესახებ თვითერის პირად გვერდზე მალტის პრემიერ-მინისტრმა ჯოზეფ მუსკატმა დაწერა.

გამტაცებლები ხელისუფლებას ჩაბარდნენ. ისინი დააპატიმრეს.

მანამდე ერთ-ერთი გამტაცებელი ადგილობრივი ტელეკომპანიის ვიდეოში მოხვდა. მამაკაცს ხელში მწვანე დროშა ეჭირა, რომელიც ლიბიის სახელმწიფო დროშა იყო მუამარ კადაფის მმართველობის დროს, 2011 წლამდე.

თურქეთის პარლამენტის ვიცესპიკერი პოლიციამ დააკავა და გამოუშვა

23 დეკემბერს დილით თურქეთის პარლამენტის ვიცესპიკერი პროქურთ ხალხთა დემოკრატიის პარტიიდან პერვინ ბულდანი თურქულმა პოლიციამ დააკავა.

ჩვენების მიცემის შემდეგ ის გაათავისუფლეს.

– პერვინ ბულდანმა ჩვენება მისცა პროკურატურას და ამის შემდეგ გაათავისუფლეს. სტამბოლის სასამართლოში დღეს ერთ-ერთი საქმის განხილვა მიმდინარეობს, რომელიც ეხება „ხალხთა დემოკრატიის პარტიის“ წარმომადგენლების განცხადებას, საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის თაობაზე. ბულდანი და პარტიის სხვა წევრები მკვეთრად აკრიტიკებდნენ ამ განცხადებას, – განაცხადა „ხალხთა დემოკრატიის პარტიის“ თავმჯდომარის მოადგილე ნაზმი გიურმა.

რაც შეეხება დაკავებას, გიურის განცხადებით, პროკურატურამ ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ ვიცესპიკერს ჩვენება მიეცა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში თურქეთის ხელისუფლებამ „ხალხთა დემოკრატიის პარტიის“ ათზე მეტი წევრი დააკავა ტერორისტული საქმიანობის ან ტერორიზმის პროპაგანდის ბრალდებით.

ტერაქტი მოსულში

მოსულში ბაზრის მახლობლად სამი ავტომობილი აფეთქდა. შედეგად დაღუპულია 22 ადამიანი, 30-ზე მეტი დაიჭრა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სირიის არმიამ მთელ ალეპოზე კონტროლი დაამყარა

სირიის არმიამ ალეპოზე სრული კონტროლი დაამყარა. პარტიზანების უკანასკნელმა ჯგუფებმა ქალაქი დატოვეს.

– ალეპოს აღება ჩვენი ყველაზე სერიოზული გამარჯვებაა, – განაცხადა ბაშარ ასადმა.

მიუხედავად ამისა, ალეპოს პროვინციაში მშვიდობამ არ დაისადგურა. თურქეთის ავიაციამ დაბომბა ალეპოს პროვინციის ის ნაწილი, რომელსაც ქურთები აკონტროლებენ. შედეგად 24 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ამის შემდეგ თურქებმა დაიკავეს ქალაქი ელ-ბაბი, რომელიც ალეპოს პროვინციაში მდებარეობს.

– თურქები აგრესორები არიან. მათ ჩვენი სუვერენიტეტი უხეშად დაარღვიეს, – განაცხადა ასადმა.

ბერლინში მომხდარ ტერაქტში ეჭვმიტანილი მილანში მოკლეს

19 დეკემბერს ბერლინში მომხდარ ტერაქტში ეჭვმიტანილი, ტუნისელი ანის ამრი, რომელიც ძებნაში იყო, 23 დეკემბერს, დილის 3 საათზე იტალიაში, ქალაქ მილანში პოლიციასთან ორმხრივი სროლის დროს მოკლეს.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო ბრიფინგზე აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა.

ეჭვმიტანილი მილანის ერთ-ერთ უბანში პოლიციამ საბუთების შემოწმების მიზნით გააჩერა. პოლიციის თხოვნაზე წარედგინა საბუთები, ანის ამრიმ იარაღი ამოიღო და პოლიციელს ესროლა შეძახილით – „ალაჰ აქბარ“.

პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ეჭვმიტანილი ადგილზე დაიღუპა.

გარდაცვლილის ჯიბეში აღმოჩენილია მატარებლის ბილეთი, საიდანაც ირკვევა, რომ ის იტალიაში საფრანგეთის გავლით ჩავიდა.

დაჭრილი პოლიციელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა მძიმე არ არის.

ბერლინში განხორციელებულ ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

ტერორისტებმა განაცხადეს, რომ თავდასხმის ორგანიზატორი მათ რიგებშია. მანამდე კი ტერაქტის მოწყობის ბრალდებით სამართალდამცველებმა პაკისტანელი დააკავეს, რომელიც პროკურატურამ გაათავისუფლა, რადგან მისი ბრალეულობა არ გამოიკვეთა.

სისხლიანი თავდასხმა ბერლინის ცენტრში მდებარე ეკლესიასთან, საშობაო ბაზრობის ტერიტორიაზე, 19 დეკემბერს მოხდა. შედეგად დაიღუპა 12 და დაშავდა რამდენიმე ათეული ადამიანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბრონაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ჯერარდი — ნახევამდის, ლეგენდა!

დიდი ფეხბურთელები დიდი ფეხბურთიდან დიდი სახელით მიდიან. სწორედ ამ სტატუსით დაემშვიდობა სტივენ ჯერარდი ფეხბურთს, უღალატო სტივენ ჯერარდი, რომელიც დღეს ესპანეთისა და ინგლისის ჩემპიონი უნდა ყოფილიყო.

ზინედინ ზიდანი:

– როცა სტივენი ფორმის პიკში იმყოფებოდა, ის მართლაც საუკეთესო ნახევარმცველი იყო მსოფლიოში. 2004 წელს ფლორენტინო პერესს მისი შეძენა ვთხოვე და ორჯერ გავუგზავნეთ შეთავაზება, მაგრამ ჯერარდი ის უიშვიათესი ფეხბურთელი აღმოჩნდა, რომელსაც შეეძლო, უარი ეთქვა სამეფო გუნდისთვის. მის გონებაში მხოლოდ ლივერპული ტრიალებდა. სხვა შემთხვევაში მას შეიძლება უამრავი თასი ან სხვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც ჰქონოდა, მაგრამ ჯერარდი ერთგული კაცია.

ტიპური ბრიტანელი ფეხბურთელი, რომელიც თავისი შორეული ყუმბარისებური დარტყმებით, სისწრაფით, მებრძოლი სულითა და ზომიერი სიხისტით გამოირჩეოდა. ასეთი ტიპის ფეხბურთელებს დღეს იშვიათად შეხვდებით, მაგრამ ისინი თამაშობდნენ და ფეხბურთს უფრო საინტერესოსა და სანახაობრივს ხდიდნენ.

სტივენ ჯერარდი დაიბადა 1980 წლის 30 მაისს ინგლისის პატარა ქალაქ უისტონში და კარიერაც ამ ქალაქის საფეხბურთო სკოლაში დაიწყო, თუმცა 9 წლის ასაკში მან ლივერპულის სკაუტების დაინტერესება მოახერხა და 2015 წლამდე „წითლების“ ღირსებას იცავდა.

1997 წელს სტივენმა თავის ოცნების გუნდთან პირველ კონტრაქტი გააფორმა, 1998 წლის 29 ნოემბერს კი ლივერპულის მთავარი მწვრთნელი, ჟერარ ულიე მას ოცნების ასრულებაში დაეხმარა და ბლექბერნთან დაპირისპირებაში ათამაშა.

შეხვედრაში ჩართვამდე, მოთელვის დროს, სტივმა ამაყი და თავდაჯერებული გამოხედვით დაამახსოვრა თავი გულშემატკივარს, მაგრამ მწვანე მინდორზე გასვლის შემდგე ნათლად გამოჩნდა, თუ რა სისწრაფით უცემდა ჯერარდს გული. ის დაბნეული იყო, მაგრამ არა – შეშინებული. სადებიუტო სეზონში ჯეიმს რედნაპის ტრავმის გამო 13 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მისი გამოსვლა არც ისე წარმატებული იყო. მან ვერ მოახერხა ლივერპულის გულშემატკივრების გულის მოგება.

1999-2000 წლებში სტივმა პირველად მიიღო მონაწილეობა მერსისაიდულ დერბიში ევერტონის წინააღმდეგ და სადებიუტო წითელი ბარათიც აღნიშნულ მატჩში მიიღო. ამ სეზონშივე გაიტანა სადებიუტო გოლი შეფილდის კარში. საბოლოოდ 1999-2000 წლები მისთვის ასევე წარუმატებელი გამოდგა. 19 წლის ჯერარდმა რამდენიმე ტრავმა და ოპერაცია გადაიტანა. ის ჯერ კიდევ არ იყო ლივერპულის გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელი.

ჯერარდისთვის ლივერპულური კარიერის გარდამტეხი 2000-01 წლების სეზონიც დადგა. ეს მისთვის უკანასკნელი შანსი იყო, რათა ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ ამ გუნდში თამაშის ღირსი იყო. საბოლოოდ მან ეს მოახერხა და ჩატარებულ 15 მატჩში 10 გოლი გაიტანა, „წითლებთან“ ერთად მოიგო უეფას თასი, ინგლისის თასი და ლიგის თასი. გარდა ამისა, პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა. სტივენი „სკაუზერებისთვის“ ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი ნამდვილად გახდა და მასზე უკვე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

მომდევნო რამდენიმე წელი ჯერარდისთვის მეტ-ნაკლებად წარმატებულად წარიმართა. განვითარდა და ჩამოყალიბდა, როგორც გუნდის ლიდერი, სული და გული, ნამდვილი წინამძღოლი.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, გერმანიის წინააღმდეგ (5:1), რომელიც ინგლისელებისთვის ისტორიული გამოდგა, გოლი გაიტანა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო 2002 წელს კორეა-იაპონიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე განაცხადს მიღმა დარჩა სამაგიეროდ, 2003 წელს ჟერარ ულიემ ის ლივერპულის კაპიტნად დანიშნა და ახალი, 4-წლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

2004 წელს ხმა გავარდა, რომ ლივერპულის რიგებიდან წასვლას თავად ჯერარდი აპირებდა. ინფორმაციის წყარო თავად ფეხბურთელი იყო:

– გული დამწყვიტა კლუბიდან ჟერარ ულიეს წასვლამ. გუნდს არასწორი პოლიტიკა აქვს არჩეული, რომელიც ლივერპულის განვითარებას შეუშლის ხელს. დიახ, ვადასტურებ, რომ ვტოვებ მშობლიურ გუნდს და ჩელსიში მივდივარ.

ამ სიტყვების შემდეგ „სკაუზერებს“ იმედის ყველა ნაპერწკალი ჩაუქრათ. გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ლივერპული 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებდა გუნდის კაპიტნის სანაცვლოდ, თუმცა უეცრად სტივენ ჯერარდის ახალი განცხადება ვრცელდება, რომ მისი გული მხოლოდ ამ გუნდს ეკუთვნის და კონკურენტ გუნდში გადასვლა მისი ცხოვრებისეული მარცხი და საყვარელი გუნდის ღალატი იქნებოდა.

საბოლოოდ ამ ყველაფერმა ჩაიარა, ჩელსისთან კონტრაქტზე უარი ითქვა. ლივერპული ძალიან ბედნიერი იყო, მაგრამ ნამდვილი სიხარული და ბედნიერი წუთები „სკაუზერებს“, თავად ჯერარდსა და მთლიანად ლივერპულის შემადგენლობას ახლო მომავალში ელოდა, რომელიც მთლიანად საფეხბურთო სამყაროსთვის იყო წარმოუდგენელი.

სტივენ ჯერარდის ამ ნაბიჯმა ლივერპული ერთ მუშტად შეკრა და თავდაჯერებულობაც შემატა. 2005 წელს, როცა სტივენ ჯერარდმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში გადამწყვეტი გოლი გაუტანა ბერძნულ ოლიმპიაკოსს, ამ გუნდმა კიდევ ერთი მუხტი იგრძნო, რომ რაღაც განსაკუთრებულის შეთავაზება შეეძლო თავისი გულშემატკივრებისთვის. ამ მუხტმა გაიყვანა ლივერპული ლიგის ფინალში და იქაც სტივის წინამძღოლობით, გუნდური სულით 6 წუთში გახადეს სტამბოლის ფინალი მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე დასამახსოვრებელ მატჩად.

ლივერპული მეხუთედ დაეუფლა ჩემპიონთა ლიგის თასს, ხოლო სტივი გუნდის ხელშეუხებელი ფეხბურთელი გახდა.

ამის შემდეგაც იყო მომენტები, როცა ლივერპულს შეეძლო, მსუყე ლუკმა კიდევ რამდენჯერმე დაეგემოვნებინა, მაგრამ ბოლო მომენტში ფეხის დაცდენა დასჩემდათ. 2007 წლის ფინალი მილანთან (1:2), 2008-09 სეზონში პრემიერ ლიგის მეორე ადგილი და 2013-14 წლის სეზონში ასევე მეორე ადგილი, თუმცა ეს პირადად სტივისთვის იყო ტრაგიკული, რადგან ლონდონის ჩელსისთან მისმა ფეხის დაცდენამ განაპირობა დიდწილად ეს მარცხი.

აღნიშნულმა ფაქტმა უამრავ ადამიანს მისცა ამ დიდი ფეხბურთელის, ლეგენდის, ლივერპულისთვის მებრძოლი და უდიდესი კაპიტნის მიწასთან გასწორების საშუალება.

სხვა დიდი გუნდების დიდმა ლეგენდებმა კი საჭიროდ ჩათვალეს სტივის დაცვა და გამხნევება. ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ზინედინ ზიდანმა, უეინ რუნიმ, პოლ სქოულზმა რიო ფერდინანდმა, ჯონ ტერიმ, ფრენკი ლამპარდმა, ანდრეი შევჩენკომ, კაკამ, პირლომ, ხაბი ალონსომ, ტიერი ანრიმ, ხავიერ ძანეტიმ, ალექს დელ პიერომ, ჩავიმ, სუარესმა და კიდევ უამრავმა სხვა ლეგენდამ სტივს მადლობა გადაუხადეს.

მოკლედ, სტივის კარიერა ლივერპულში 2013-14 წლების სეზონით დამთავრდა. მართალია, ის ამის შემდეგ 1 წელი ისევ დარჩა მერსისაიდელების შემადგენლობაში, მაგრამ ბრენდან როჯერსმა რატომღაც საჭიროდ ჩათვალა მისი სათადარიგო სკამზე გადაჯდომა. შედეგად უსახური ფეხბურთი ჩემპიონთა ლიგაზე და ასევე ხელიდან გამოცლილი ლუის სუარესი, რომელმაც ბარსელონას მიაშურა.

სეზონის ბოლოს სტივმა ამერიკაში, კერძოდ, ლოს ანჟელეს გალაქსში წასვლა გადაწყვიტა და საფეხბურთო კარიერაც მალევე, 2016 წლის 24 ნოემბერს დაასრულა.

საერთო ჯამში, სტივმა ლივერპულის მაისური 709 მატჩში მოირგო და 185 გოლი გაიტანა, ხოლო ლოს ანჯელეს გალაქსიში ჩატარებულ 39 შეხვედრაში ხუთჯერ გამოიჩინა თავი. რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, ჯერარდმა „სამი ლომის“ მაისური 114-ჯერ მოირგო, ნაკრებს 40-ჯერ უკაპიტნა და 21 გოლი გაიტანა.

სტივენ ჯერარდის საკლუბო და ინდივიდუალური ჯილდოები შთამბეჭდავია, თუმცა მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ლივერპულის გულშემატკივრების სითბო და სიყვარული უნდა იყოს, რომელიც ლეგენდამ ნამდვილად დაიმსახურა.

ტიმო ვერნერი — ლაიპციგის მარგალიტი

მართალია, ლაიპციგი აღარ არის დაუმარცხებელი გუნდი ბუნდესლიგაში და აღარც ლიდერია, მაგრამ მიმდინარე წლის აღმოჩენა რომ არის, ფაქტია. გემახსოვრებათ, გასულ სეზონში ამგვარი ლესტერი იყო და ბევრი კარგი ფეხბურთელიც წარმოაჩინა.

იგივე სიტუაციაა ლაიპციგშიც: გუნდის წარმატებაში ძალიან დიდია ხელმძღვანელობისა და სამწვრთნელო შტაბის წვლილი, მაგრამ დამსახურება არც ფეხბურთელებს უნდა დავუკარგოთ.

გუნდის ლიდერებზე როცა ჩამოვარდება სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, ტიმო ვერნერი გვახსენდება, ფეხბურთელი, რომელიც ლაიპციგში თითქოს მეორედ დაიბადა. მისი თამაშისა და გოლების ცქერა ერთი დიდი სიამოვნებაა.

ტიმო 20 წლისაა და მას ყველაფერი წინ აქვს. ამის მიუხედავად, მან უკვე ძალიან ბევრი რამ ნახა ფეხბურთში და ამ თვალსაზრისით ის პატარა ბიჭი ნამდვილად აღარ არის. ტიმომ ითამაშა გერმანიის ყველა ასაკობრივ

გაგრძელება მე-9 გვერდზე

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ინგლისის გარდა, ყველა ისვენებს

სტატისტიკა, ფსონები

ინგლისის გარდა, მთელი საფეხბურთო ევროპა ისვენებს. მხოლოდ ფეხბურთის გამომგონებლები თამაშობენ და, იმის მიუხედავად, რომ რაიმე განსაკუთრებულად გამოსარჩევი მატჩი არ არის, მაყურებელი არ მოიწყენს – ეს ხომ ინგლისია...

ინგლისი

26.12 უოტფორდი-კრ.პალასი	2.3	3.4	3.2
26.12 არსენალი-ვესტ ბრომვიჩი	1.35	5.0	10.0
26.12 ლესტერი-ევერტონი	2.5	3.4	2.9
26.12 ბარნლი-მიდლსბრო	2.9	3.1	2.7
26.12 ჩელსი-ბორნმუთი	1.4	4.5	8.0
26.12 სუონსი-ვესტ ჰემი	2.6	3.5	2.7
26.12 მანჩესტერი-სანდერლენდი	1.25	5.5	15.0
26.12 ჰალი-სიტი	8.5	5.5	1.35
27.12 ლივერპული-სტოკი	1.33	5.5	9.0
28.12 საუთჰემპტონი-ტოტენჰემი	2.87	3.25	2.6

უოტფორდი-კრ.პალასი

უოტფორდი: *ტრავმ*-სებასტიან პროდი, სტეფანო ოკაკა, რობერტო პერეირა, კენედი

კრ.პალასი: *ტრავმ*-ბაქარი საკო, ჯეიმს ტომკინსი, კრისტიან ბენტეკე, კონორ უიკჰემი, სტივ მანდადა, პაპე სუარე

არსენალი-ვესტ ბრომვიჩი

არსენალი:*ტრავმ*-ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, აარონ რამზი, შუკოდრან მუსტაფი, მეტიუ დებუში, სანტი კაზორლა, პერ მერტეზაკერი, დანი უელბეკი

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-საიდო ბერაინო

ლესტერი-ევერტონი

ლესტერი: *ტრავმ*-არავინ

ევერტონი:*ტრავმ*-მაარტენ სტეკელენბურგი, ჯეიმც მაკკარტნი, იანიკ ბოლასიე

ბარნლი-მიდლსბრო

ბარნლი: *ტრავმ*-იოან გუდმუნდსონი

მიდლსბრო:*ტრავმ*-ვიქტორ ფიშერი, გასტონ რამირესი

ჩელსი-ბორნმუთი

ჩელსი: *ტრავმ*-ჯონ ტერი

ბორნმუთი: *ტრავმ*-სტივ კოკი, ჯუნიორ სტანისლასი, ანდრიუ სურმანი

სუონსი-ვესტ ჰემი

სუონსი:*ტრავმ*-ფედერიკო ფერნანდესი

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-სიმონე ძაძა, ჯეიმს კოლინზი, დიაფრა სახო, გოკჰან ტორე

მანჩესტერი-სანდერლენდი

მანჩესტერი: *ტრავმ*-ლუკ შოუ

სანდერლენდი: *ტრავმ*-იან კირჰოფი, ბილი ჯონსი, დანკან უიტმორი, ჯეკ როდვეილი, ლი კატერმოლი

ჰალი-სიტი

ჰალი: *ტრავმ*-რაიან მეისონი, აბელ ერნანდესი, უილიამ კეინი

სიტი: *ტრავმ*-პაბლო ზაბალეტა, ფაბიან დელფი, ილკაი გუნდოგანი, ვინსენტ კომპანი

ლივერპული-სტოკი

ლივერპული: *ტრავმ*-ფელიპე კოუტინიუ

სტოკი: *ტრავმ*-მარკ მუნიესა, ჯეფ კამერონი

საუთჰემპტონი-ტოტენჰემი

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-ჩარლი ოსტინი, მატ ტარგეტი, ჯერემი პიდი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	17	14	1	2	35-11	43
2.ლივერპული	17	11	4	2	41-20	37
3.სიტი	17	11	3	3	36-20	36
4.არსენალი	17	10	4	3	38-19	34
5.ტოტენჰემი	17	9	6	2	29-12	33
6.მანჩესტერი	17	8	6	3	24-17	30
7.საუთჰემპტონი	17	6	6	5	17-16	24
8.ვესტ ბრომვიჩი	17	6	5	6	23-21	23
9.ევერტონი	17	6	5	6	21-21	23
10.ბორნმუთი	17	6	3	8	23-28	21
11.სტოკი	17	5	6	6	19-24	21
12.უოტფორდი	17	6	3	8	21-29	21
13.ვესტ ჰემი	17	5	4	8	19-31	19
14.მიდლსბრო	17	4	6	7	16-19	18
15.ლესტერი	17	4	5	8	23-29	17
16.ბარნლი	17	5	2	10	16-28	17
17.კრ.პალასი	17	4	3	10	28-32	15
18.სანდერლენდი	17	4	2	11	15-28	14
19.სუონსი	17	3	3	11	20-37	12
20.ჰალი	17	3	3	11	14-36	12

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ოსტეოქონდროზი ხერხემლის გარკვეულ ადგილას ტკივილის შეგრძნებით იწყება

ეკა ირემაშვილი



ოსტეოქონდროზი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, რომლითაც დედამიწის ყოველი მეორე მოსახლეა დაავადებული. ოსტეოქონდროზი ზურგის ტკივილის ყველაზე გავრცელებული მიზეზია, ამისგან კი არავინაა დაზღვეული. როგორც წესი, ოსტეოქონდროზი იწყება ხერხემლის გარკვეულ ადგილას ტკივილის შეგრძნებით. ამ დროს წაყრუება და თვალის დახუჭვა დანაშაულის ტოლფასია.

რა არის ოსტეოქონდროზი, როგორია პირველადი სიმპტომები და რას უნდა მიაქციონ ყურადღება ადამიანებმა, ამ საკითხებზე ექიმი სერგეი ბუბნოვსკი საუბრობს.

სერგეი ბუბნოვსკი:

– ოსტეოქონდროზი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, რომლითაც დედამიწის ყოველი მეორე მოსახლეა დაავადებული. ოსტეოქონდროზი ზურგის ტკივილის ყველაზე გავრცელებული მიზეზია. როგორც წესი, ოსტეოქონდროზი იწყება ხერხემლის გარკვეულ ადგილას ტკივილის შეგრძნებით. ამ ეტაპზე ოსტეოქონდროზი თავს იჩენს მალთაშუა დისკოს სტრუქტურის ცვლილებისას, რის შედეგადაც ხერხემალი თანდათან კარგავს მოქნილობას და მობილობას. როდესაც ოსტეოქონდროზი პროგრესირებს, ცვლილებებს განიცდის თავად მალებიც.

– რა იწვევს ოსტეოქონდროზს?

– ყველაზე გავრცელებული მიზეზია ნაკლებად მოძრავი ცხოვრების სტილი, ხერხემლისა და ზურგის მიმდებარე კუნთების განუვითარებლობა, რის შედეგადაც ირღვევა ძვლოვანი და ხრტილოვანი ქსოვილების კვება და სისხლის მიმოქცევა. ამ დროს ყველაზე ხშირია ზურგის ტკივილი.

– ზურგის ტკივილების მიზეზი რა არის?

– ხერხემალს არ შეუძლია განიცადოს ტკივილი. სამაგიეროდ ეს შეუძლიათ კუნთებს, იოგებს და მყესებს. ზურგის ტკივილის მიზეზი – ქსოვილების შეშუპება და კუნთების სპაზმაა. ზურგის ტკივილები, როგორც წესი, ჩნდება მოდუნებული კუნთების, დაჭიმვის და გადატვირთვის დროს. ტკივილი შეიძლება იყოს მოულოდნელი და ძლიერდებოდეს მოძრაობის დროს, მისი გამოწვევის მიზეზი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც აძლიერებს ხერხემალზე ზეწოლასა და დატვირთვას: სავარძელზე ან მანქანის საჭესთან წელში მოხრილი ჯდომა, დარღვეული ტანადობა, სიმძიმეების არასწორად აწევა, არაშესაფერის ლეიბზე ძილი, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა ან გადატვირთვა სპორტის დროს.

ჩვენ ცენტრში ვმკურნალობთ ხერხემლის კისრის, გულმკერდისა და წელის არეებში მწვავე ტკივილებს. ამ მეთოდიკით მკურნალობა საშუალებას იძლევა არა მხოლოდ ბოლომდე გააქროს ტკივილი, არამედ გაგიწიოთ პროფილაქტიკური ზეგავლენა, რათა მომავალში აგარიდოთ აღნიშნული სიმპტომები.

ჩვენთან ხორციელდება ოსტეოქონდროზის ყველანაირი ფორმის ეფექტური მკურნალობა. მკურნალობა მიმართულია კუნთების ანთების, შეშუპების და მოდუნების აღმოსაფხვრელად. ამის საშუალებას იძლევა ჩვენს მიერ შემუშავებული ვარჯიშების უნიკალური სისტემა. მკურნალობის ძირითად მეთოდად გამოიყენება კინეზითერაპია – მკურნალობა სწორი მოძრაობებით. კინეზითერაპიის ბუნებრივი მეთოდით მკურნალობისას არ გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები.

ოსტეოქონდროზის მკურნალობის დაწყებამდე, წინასწარი კონსულტაციების დროს, ექიმი ატარებს მიოფასციალურ გამოკვლევას, აკვლენს დაზიანებულ ადგილს, აფასებს კუნთების მდგომარეობას, აანალიზებს დაავადების კლინიკურ სურათს. ეს შეიძლება იყოს კისრის, გულმკერდისა და წელის ანუ ლუმბალური ოსტეოქონდროზი.

თითოეული მათგანისთვის განკუთვნილია სხვადასხვა სახის კომპლექსური ვარჯიშები. ერთი მხრივ, თითოეული ვარჯიში განტვირთავს ხერხემალს, მეორე მხრივ კი – აღადგენს ხერხემლის ირგვლივ კუნთებში სისხლის მიმოქცევას, ხსნის ტკივილს და აქრობს სპაზმებს. ამ მეთოდებით ოსტეოქონდროზის მკურნალობა უბრუნებს ადამიანს სრულფასოვან ქმედუნარიანობას, უმჯობესდება მისი ცხოვრების ხარისხი.

კვალიფიციური სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ მრავალფუნქციურ სავარჯიშო მოწყობილობებზე ვარჯიშები გაცილებით ეფექტურია სახლში ვარჯიშზე. იმისათვის, რომ ოსტეოქონდროზის მკურნალობა იყოს შედეგიანი და ხერხემალმა მიიღოს სწორი დატვირთვა, საჭიროა გაცილებით ნაკლები სავარჯიშოების შესრულება და ეს ყველაფერი ხდება უმტკივნეულოდ, რადგანაც დატვირთვის ნაწილს სავარჯიშო მოწყობილობა თავის თავზე იღებს.

– ხდება თუ არა ამ დროს ხერხემალზე ზეწოლა?

– სავარჯიშო მოწყობილობებზე ხერხემალზე ზეწოლა მინიმალურია, რაც ნებისმიერი ასაკის ადამიანებს, ნებისმიერ მდგომარეობაში, ურთულესშიც კი, აძლევს ვარჯიშის საშუალებას. ოსტეოქონდროზის მკურნალობის პრინციპია დატვირთვების ეტაპობრივი ზრდა. პროგრამა ყველასათვის ინდივიდუალურია, პაციენტთა ტრავმისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. პაციენტს არ უწევს ზედმეტი ძალისხმევის გაწევა. აღარ ემუქრება მაღალი წნევისა და გადაღლილობის საფრთხე. მას მხოლოდ უხდება ზედმიწევნითი სიზუსტით და სიფრთხილით შეასრულოს მოძრაობები და ახსოვდეს: „სწორი მოძრაობები კურნავს – არასწორი ვნებს“.

ადამიანის ორგანიზმს გააჩნია ყველანაირი რესურსი, რომ არ იავადმყოფოს, რათა განიკურნოს და დაიბრუნოს ცხოვრების სიხარული. ჩვენც ზუსტად ამით ვართ დაკავებულები – ვუმკლავდებით ურთულეს დაავადებებს და ადამიანებს ვუბრუნებთ სრულყოფილ ქმედუნარიანობას, აფთიაქში გაგზავნის გარეშე.

თითოეული პაციენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მათ თავისებურებებს, ფიზიკური განვითარების დონეს, დაავადების სირთულეს და ზოგად ჯანმრთელობას. თავდაპირველად, უმეტეს შემთხვევაში, პაციენტებს ენიშნებათ გამარტივებული ვარჯიშები მინიმალური დატვირთვით. დროთა განმავლობაში პროგრამის სირთულე მატულობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვარჯიშის დროს სწორ სუნთქვას, რომლის გარეშე მკურნალობა გამორიცხულია. სწორი სუნთქვის წესები მარტივია და მათი გამოყენება, სარეაბილიტაციო პროგრამის ნებისმიერ საფეხურზე, იძლევა მნიშვნელოვან სამკურნალო შედეგს. პროგრამა ასევე მოიცავს სპეციალურ სარეაბილიტაციო ვარჯიშებს, რომელიც განკუთვნილია სახსრების მობილობის, კუნთების, იოგებისა და მყესების მოქნილობის გასაუმჯობესებლად. შედეგად ტკივილი ქრება, ხდება ღრმა კუნთების აქტივაცია, უმჯობესდება დაზიანებული ქსოვილების კვება, ხერხემალსა და სახსრებს უბრუნდებათ მობილობა, საგრძნობლად იზრდება მოძრაობის შესაძლებლობები, ქმედუნარიანობა, უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი.

ოსტეოქონდროზის მკურნალობის შედეგები დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე, მის სირთულეზე, მკურნალობის მეთოდის სიზუსტესა და დროულობაზე. დაავადების საწყის ეტაპზე ჩვენი მეთოდით შესაძლებელია ოსტეოქონდროზისგან მთლიანად განკურნება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ოსტეოქონდროზი უკვე განვითარებულია, აღნიშნული მეთოდიკით შესაძლებელია მისი შეჩერება, ხერხემლის პათოლოგიური ცვლილებების შემცირება, სრულიად ან ნაწილობრივ განკურნება ისეთი სიმპტომებისაგან როგორიცაა ზურგის ტკივილები, კიდურების დაბუჟება და გაყინვა, თავის ტკივილები და ა.შ.

შემუშავებული გვაქვს სასწავლო პროგრამები, რათა თავიდან აიცილონ ზურგის ტკივილები, ჭარბწონიანობა და ვენების ვარიკოზული გაფართოება. შემუშავებულია პროფილაქტიკური და სამკურნალო პროგრამები ისეთი ბავშვებისთვისაც, რომლებსაც ჩამოუყალიბდათ დარღვეული ტანადობა და აწუხებთ ხერხემლის პრობლემები. ასევე არსებობს სპეციალური პროგრამები ხანში შესულთათვის.

ცენტრში შესაძლებელია ტერფის ფუნქციის დიაგნოსტიკა და ღაბაშის მორგება, რაც თავიდან აგაცილებთ ტერფებისა და წვივის კუნთების ტკივილს, მენჯ-ბარძაყისა და ხერხემლის გადატვირთვას.

ტიმო ვერნერი — ლაიპციგის მარგალიტი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნაკრებში და, თუ ასე გაგრძელდა, ის აუცილებლად შეაღებს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის, ბუნდესნაკრების კარსაც.

ვერნერი ტრადიციებით მდიდარი შტუტგარტის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, რომლის შემადგენლობაში დებიუტი სულ პატარას ჰქონდა. მაშინ ის 17 წლის, 4 თვისა და 25 დღის იყო. ამგვარად, ვერნერი შეიქმნა შტუტგარტის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი. სადებიუტო შეხვედრა შედგა პლოვდივის ბოტევთან, ევროპალიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში.

– ეს მატჩი არასოდეს დამავიწყდება. მაშინ ძალიან ბევრი დაიწერა ჩემზე. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ვიცოდი, რომ წარმატების მიღწევამდე ძალიან ბევრი უნდა მეშრომა. ვგრძნობდი, რომ ქუჩაში გასულს ხალხი უკვე მცნობდა. სულ ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო და კარიერაში მე არაფრისათვის მქონდა მიღწეული. სულ მეშინოდა, ზედმეტ აჟიოტაჟს ცუდად არ ემოქმედა ჩემზე და მგონი, ეს შევძელი. საერთოდ, მე რეალისტი ვარ და მირჩევნია ცხოვრება დავინახო ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში არის.

ვერნერი იმთავითვე შეირაცხა შტუტგარტის მომავალ ვარსკვლავად. კლუბის ხელმძღვანელობამ ბევრი აღარ დაახანა და ვერნერი კლუბის სრულუფლებიანი წევრი გახდა იმ დღეს, როდესაც 18 წელი შეუსრულდა. მან შტუტგარტთან კონტრაქტი 2018 წლამდე გააფორმა.

მოგეხსენებათ, გასული სეზონის შედეგების მიხედვით შტუტგარტი ბუნდესლიგიდან გავარდა. ეს ნამდვილი ტრაგედია იყო ვერნერისათვის.

– ეს არის დიდი გუნდი და ჩემი აზრით, ამ გუნდის ადგილი უძლიერესთა შორისაა. დადგა ასეთი შედეგი და ეს ყველა ჩვენგანის ბრალია. მჯერა, მალე შტუტგარტი დაბრუნდება იქ, სადაც მისი ადგილია.

ვერნერი თითქოს შტუტგარტის პატრიოტია, მაგრამ ის მაინც არ ჩაჰყვა გუნდს რანგით დაბალ დივიზიონში და 2016 წლის 11 ივნისს ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ლაიპციგთან. ვერნერს თითქოს, ახალი სუნთქვა გაეხსნა. იშვიათია ლაიპციგის შედეგიანი შეტევა, რომელშიც ტიმოს მონაწილეობა არ მიეღოს.

– ბევრი ვერ ხსნის, რა არის ჩვენი გუნდის წარმატების საიდუმლო. მე ზუსტად ვიცი, რომ ეს იმ არნახული ერთიანობის შედეგია, რომელიც გუნდშია. ჩვენ მინდორზე გამარჯვების რწმენით სავსენი გავდივართ და ხშირად სასურველ შედეგს ვაღწევთ კიდეც. არ შეიძლება, ყველაფერი ეს შემთხვევით მოხდეს. საწყის ტურებში როცა ჩვენ თამაშებს ვიგებდით, ბევრმა ეს შემთხვევითობად ჩათვალა. ახლა ყველა ისე გვიყურებს, როგორც სერიოზულ ძალას.

ლაიპციგი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერია. ეს თითოეული ფეხბურთელის პასუხისმგებლობას აორმაგებს. ასე ფიქრობს ვერნერიც:

– ერთია, როცა შენგან ბევრს არაფერს ელიან და მეორეა, როცა იციან, რომ სერიოზულ ძალას წარმოადგენ. ლაიპციგი ახლა ლიდერთა შორისაა და ყველა მოწინააღმდეგე ჩვენთან გაორმაგებული ენერგიით თამაშობს. ვცდილობთ, ამ სირთულეებს გავუმკლავდეთ. ფაქტია, ლაიპციგი ყველა შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისათვის გადის მინდორზე.

მაინც, რას ნიშნავს ლაიპციგისათვის ტიმო ვერნერი? ამას მოკლედ ხსნის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, საყრდენი ნახევარმცველი ნაბი კეიტა.

– ის შესანიშნავი ფეხბურთელია. ნებისმიერ მომენტში შეუძლია, არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღოს და მეტოქე გააკვირვოს. ვიტყოდი, რომ ის ლაიპციგის მარგალიტია.

ქალეიდოსკოპი

კაფელნიკოვის შვილს რუსეთი სძულს

გოლფში რუსეთის ჩემპიონისა და ყველაზე ტიტულოვანი რუსი ჩოგბურთელის ევგენი კაფელნიკოვის შვილმა ალესიამ ინსტაგრამში განაცხადა, რომ სძულს თავისი სამშობლო.

გოგონამ, რომელიც ლონდონში მოდელად მუშაობს, სოციალურ ქსელში განათავსა ვიდეო, რომელშიც ის ინგლისურად ამბობს, რომ არ უყვარს რუსეთი.

– მე კარიერას სხვა ქვეყანაში ვიკეთებ, ჩემით უნდა ამაყობდნენ. მეკითხებიან, რატომ ვერ ვიტან რუსეთს? რა თქმა უნდა, მე ვერ ვიტან რუსეთს! – ხაზგასმით განაცხადა ალესია კაფელნიკოვამ.

მოდელის თქმით, მას არ უყვარს რუსული მენტალიტეტი.

– ხალხს უფრო მეტად აწუხებს სხვისი პრობლემები, ვიდრე საკუთარი, – აღნიშნა 18 წლის ალესიამ.

ელზა ჰოსკი ჟურნალისთვის გაშიშვლდა

სუპერმოდელმა ელზა ჰოსკმა მონაწილეობა მიიღო ფრანგული მოდური ჟურნალისთვის გამართულ ეროტიკულ ფოტოსესიაში. კადრები გადაღებიდან შვედმა მოდელმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ჰოსკმა სურათები ჟურნალის გარეკანისთვის გადაიღო, რომელზეც ხელი მკერდზე აქვს აფარებული. მეორე სურათზე მას მხოლოდ წინდები აცვია. აღნიშნული ფოტოსურათების ავტორია დევიდ ბელმერი. ჰოსკი 30 ნოემბერს ამერიკული მარკის ვიქტორია'ს სიქრეთსის ჩვენებაში მონაწილეობდა, რომელიც პარიზში გაიმართა. ამგვარად ის „ანგელოზი“ გახდა – მოდელი, რომელიც კომპანიას წარმოადგენს.

ფლორიდაში დაკავებულ შიშველ მამაკაცს შარვალი ხელებზე ჰქონდა წამოცმული



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ დანელანში დააპატიმრეს შიშველი მამაკაცი, რომელსაც შარვალი ხელებზე ჰქონდა წამოცმული და სხვის სახლში შეღწევას ცდილობდა.

მამაკაცმა საცხოვრებელი სახლის ვერანდაზე შეაღწია და შეეცადა, შესასვლელი კარი გაეღო. ამ დროს მას ტანზე არაფერი ეცვა, თუ არ ჩავთვლით ხელებზე წამოცმულ შარვალს.

ხმაურმა მობინადრის ყურადღება მიიპყრო და მან პოლიცია გამოიძახა, რომელმაც მამაკაცი დააკავა. მას ბრალად წაუყენეს სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ხულიგნობა და საცხოვრებელ ნაგებობაში უკანონოდ შეღწევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოთხშაბათი 26 დეკემბერი

07.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები **30** წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ქედრის ჭურჭ"** **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 01.30** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. **"შურისძიება"** **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ **"რეი"** (ჯ.ფოქსი) **02.30** "რეალური სივრცე"

08.00, 14.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "გიიკების რევანში" **10.00** მხ/ფ **"რაღდენ ბესპოლი მიყვარს"** (კ.კოსტნერი) **12.00** ტ/სერ. **"ღლეების ლეონარდოსთან ერთად"** **13.00** ტ/სერ. **"ჩინეთო ვეტერინე"** **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** ქართ. დ/ფ "ბაბოს შვილები" (რეჟ. მ.ჭიაურელი) **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" (3/ე) **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **22.00, 01.00** ტ/სერ. **"ჩრდილში მდგომნი"** **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. **"თანხმობა"** **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ერთი სიყვარულის ამბავი"** **11.20** სერ. **"სიყვარულის ჭაი"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ფინი"** **17.35** სერ. **"აპტარძალი"** **18.50, 19.03** სერ. **"ღირსების სახელით"** **20.55** სერ. **"ფაკი ვარდი"** **23.00** მხ/ფ **"კოგრას შეტევა"** **01.10** მხ/ფ **"პორტზე გაკვეთა"** **02.55** მხ/ფ **"რომეო და ჯულიეტა"**

06.00 სერ. **"დაკარგული გაკვეთა"** **06.45** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"წითელი და ფაკი"** **15.55** სერ. **"ინდური საბა"** **16.55** სერ. **"ცხოვრების გზები"** **18.50** სერ. **"ოქროს გალია"** **19.55, 20.05** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **22.00** ნიჭიერი - პირდაპირი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ავატარი" **9.00, 19.00** სერ. **"დოქტორი ჰაუსი"** **10.00, 18.00** სერ. **"სანდალი"** **11.00** სერ. **"ქერძო პრაქტიკა"** **13.00** სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები"** **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. **"ბოტივი"** **23.00** სერ. **"ინტერესის ობიექტი"** **0.00** მხ/ფ **"ეროვნული საბანძური"** **2.20** მხ/ფ **"ეროვნული საბანძური– საიდუმლოების წიგნი"**

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-"უეცრად აღძრული სინანულის შესახებ" **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ **"სხვისი ფიფლები"** **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული სმლები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** კონცერტი "ტრადიციული მრავალხმიანობა" **16.55** სპექტაკლი **"მბრედის მოუანილი ბარათები"** | **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ეფროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-"სარწმუნოების გამო ცოდვათა მიტევების შესახებ" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესსრო **7.30** ანიმაცია "ბუშმუკუები" (ფუსტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. **"კარმელიტა"** **10.00** სერ. **"ფარმოა მდინარე"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 2.00** სერ. **"ორი გული"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **16.00** სერ. **"მარისა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. **"მორიგე ექიმი"** **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. **"ბიესანი, თუ შეძლება"** **21.55** სერ. **"გემი"** **22.40** სერ. **"სტანიცა"** **1.30** "კონტაქტი"

სამშაბათი 27 დეკემბერი

07.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები **30** წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ქედრის ჭურჭ"** **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 01.00** "x სტუდია" **16.25** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. **"ქედრის ჭურჭ"** **21.00** ტ/სერ. **"შურისძიება"** **22.00** სპორტი **360** გრადუსით **23.00** მხ/ფ **"ბარგმანში დაკარგულნი"** (ს.იოჰანსონი) **02.00** "რეალური სივრცე"

08.00, 14.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00, 17.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **12.00** ტ/სერ. **"ლომბე და ფაჟი"** **13.00** ტ/სერ. **"ჩინეთო ვეტერინე"** **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. **"ლამაზი ანტონიო"** **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

